ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

03 ივნისი 2024 წელი

# დადგენილება N14

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

**,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 09/09/2014,სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.128.01617).

1. დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის $9^1$ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი $9^1$ პერსონალურ მონაცემთა დაცვა

მერია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ '' საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას . განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს , რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს :

ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირისა ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;

გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში , მისი მოთხოვნით ინფორმაციის და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ;

ვ) დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირისა ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას ."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისს წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე